ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2940413

ნომერი: AR1453841

თარიღი : 03.11.2016

გაცემის თარიღი : 30.11.2016

გაცნობის თარიღი : 30.11.2016

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქ. თბილისი, იოსებიძის ქ. #11/9ბ; ქ. თბილისი, იოსებიძის ქ. #11/9ბ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ამირან ცხადაძე პ/ნ 18001054640
- ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას მე-5 კვ. კ.4, ბ. 126

ნომენკლატურა :

- აშენებული
- ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი
- დასრულება შემდგომი ლეგალიზებით
- უნებართვო მშენებლობა

...სატიტულო ინფორმაცია :

- ...ფუნქციური დანიშნულება : ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს, მისი ოფიციალური ვებ-გვერდის www.tas.ge მეშვეობით ელექტრონულად წარმოდგენილი #AR1453841 განცხადებით მომართა, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბაჯითი“-ს დირექტორის მიხეილ კვეტენაძის წარმომადგენელმა ამირან ცხადაძემ და ნომენკლატურის მიხედვით მოითხოვა, ქ. თბილისში, საბურთალოზე, იოსებიძის ქუჩის #11-ში / ქალაქ თბილისში, თინა იოსებიძის ქუჩის #9ბ-ში, შპს „ბაჯითი“-ს საკუთრებაში არსებულ #01.10.13.027.055 მიწის ნაკვეთზე, უნებართვოდ დაწყებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობის

დასრულებისათვის ვადის გასაზღვრა, „პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660–ე ბრძანებულებით დამტკიცებული წესის თანახმად. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების თანახმად, გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე, ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები, შეისწავლა #AR1453841 განცხადებაზე თანდართული დოკუმენტები, გადაამოწმა სამსახურის მონაცემთა ბაზაში არსებული ინფორმაცია და გაარკვია შემდეგი:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2016 წლის 27 ივლისს გამოცემული #2697328 ბრძანებით, არ დაკმაყოფილდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბაჯითი“-ს დირექტორის მიხეილ კვეტენაძის წარმომადგენლის ამირან ცხადაძის #AR1415865 განცხადება და უარი ეთქვა განმცხადებელს დაწყებული მშენებლობის დასრულებისათვის ვადის განსაზღვრაზე, ხოლო უარის თქმის მიზეზად მითითებული იქნა, რომ დასასრულებლად წარმოდგენილი ობიექტის საერთო ფართი აჭარბებდა 500 კვ.მ-ს.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2016 წლის 18 აგვისტოს #2770469 ბრძანებით, უარი ეთქვა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბაჯითი“-ს დირექტორის მიხეილ კვეტენაძის წარმომადგენელს ამირან ცხადაძეს განხილვაზე #AR1429134 განცხადების, რომლითაც იგი ითხოვდა ქ. თბილისში, საბურთალოზე, იოსებიძის ქუჩის #11-ში / ქალაქ თბილისში, თინა იოსებიძის ქუჩის #9ბ-ში, შპს „ბაჯითი“-ს საკუთრებაში არსებულ #01.10.13.027.055 მიწის ნაკვეთზე, უნებართვოდ დაწყებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დასრულებისათვის ვადის გასაზღვრას.

#AR1415865 განცხადებით წარმოდგენილი დოკუმენტების, #AR1429134 განცხადებით წარმოდგენილი დოკუმენტების და #AR1453841 განცხადებაზე თანდართული დოკუმენტების ურთიერთშედარებისა ანალიზის საფუძველზე, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებაა, რომ დღეის მდგომარეობით მოთხოვნა დაყენებულია დაწყებული მშენებლობის დასრულებისათვის ვადის განსაზღრაზე იმავე ობიექტის, რომლის დაწყებული მშენებლობის დასრულებისათვის ვადის განსაზღვრაზეც მოთხოვნა დაყენებული იყო #AR1415865 განცხადებით და #AR1429134 განცხადებით.

#AR1453841 განცხადებით წარმოდგენილი ობიექტის არქიტექტურული პროექტის გადამოწმების შედეგად, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებაა, რომ დასასრულებლად წარმოდგენილი ობიექტის საერთო ფართი აჭარბებს 500 კვ.მ-ს და აქედან გამომდინარე, მისი მშენებლობის დასრულებისათვის ვადის განსაზღვრა, ეწინააღმდეგება საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660–ე ბრძანებულებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის 22 პუნქტში ასახულ ერთ-ერთ ძირითად მოთხოვნას, რომლის თანახმადაც, „ამ წესის მოქმედება ვრცელდება აგრეთვე 2007 წლის 1 იანვრამდე დაწყებულ და დაუმთავრებელ 500 კვ.მ-მდე საერთო ფართობის მქონე ინდივიდუალურ საცხოვრებელ სახლებზე, თუ ნულოვან ნიშნულამდე მათი მოწყობის სამუშაოები დასრულებულია“ ანუ ერთ-ერთი მთავარი პირობაა, რომ დასასრულებელი საერთო ფართი არ უნდა აღემატებოდეს 500 კვ.მ ფართს, რასაც მოცემულ შემთხვევაში არ აქვს ადგილი.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ დღეის მდგომარეობით სახეზეა ზუსტად იგივე ფაქტობრივი და სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც საფუძვლად დაედო 2016 წლის 27 ივლისს #2697328 ბრძანების გამოცემას და 2016 წლის 18 აგვისტოს #2770469 ბრძანების გამოცემას, არ არსებობს ახლად აღმოჩენილი და ახლად გამოვლენილი გარემოებები და სამართლებრივი ან ფაქტობრივი მდგომარეობა არაა შეცვლილი იმგვარად, რომ შექმნილი იყოს განმცხადებლისათვის უფრო ხელსაყრელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის გამოცემის წინაპირობა ანუ მოცემულ შემთხვევაში გამოყენებული ვერ იქნება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 102–ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმადაც, „განცხადება იმ საკითხთან დაკავშირებით, რომლის თაობაზედაც არსებობს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი განცხადების, აგრეთვე საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, შეიძლება წარდგენილი იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფაქტობრივი ან სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც საფუძვლად დაედო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას, შეიცვალა დაინტერესებული პირის სასარგებლოდ, ან თუ არსებობს ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებანი (მტკიცებულებები), რომლებიც განაპირობებს განმცხადებლისათვის უფრო ხელსაყრელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის

გამოცემას.“

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან ფაქტობრივი ან სამართლებრივი მდგომარეობა არაა შეცვლილი იმგვარად, რომ შექმნილი იყოს განმცხადებლისათვის უფრო ხელსაყრელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის გამოცემის წინაპირობა, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას, განიხილოს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბაჯითი“-ს დირექტორის მიხეილ კვეტენაძის წარმომადგენლის ამირან ცხადაძის #AR1453841განცხადება, რომლითაც მოთხოვნა დაყენებულია ქ. თბილისში, საბურთალოზე, იოსებიძის ქუჩის #11-ში / ქალაქ თბილისში, თინა იოსებიძის ქუჩის #9ბ-ში, შპს „ბაჯითი“-ს საკუთრებაში არსებულ #01.10.13.027.055 მიწის ნაკვეთზე, უნებართვოდ დაწყებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დასრულებისათვის ვადის გასაზღვრაზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის, 51-ე მუხლის, 52-ე მუხლის, 53-ე მუხლის, 54-ე მუხლის, მე-100 მუხლის პირველი ნაწილის და 102-ე მუხლის პირველი ნაწილის, „ქალაქთბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისისმუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ“ ქალაქთბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის #20–104 დადგენილების მე–2 მუხლის „ა“ პუნქტისდა მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ყ“ ქვეპუნქტის თანახმად,

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660 ბრძანებულების თანახმად

ვბრძანებ

__ უარი ეთქვას შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბაჯითი“-ს დირექტორის მიხეილ კვეტენაძის წარმომადგენელს ამირან ცხადაძეს განხილვაზე #AR1453841 განცხადების, რომლითაც იგი ითხოვს ქ. თბილისში, საბურთალოზე, იოსებიძის ქუჩის #11-ში / ქალაქ თბილისში, თინა იოსებიძის ქუჩის #9ბ-ში, შპს „ბაჯითი“-ს საკუთრებაში არსებულ #01.10.13.027.055 მიწის ნაკვეთზე, უნებართვოდ დაწყებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დასრულებისათვის ვადის გასაზღვრას.

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.